ახალი მარტოსანი

№ 11

იუმორისტული ჟურნალი

ფასი 10 კაპ. | კვირა, 10 მაისი | 1915 წ.

საბაგარაკო საკითხი



ხატისოვი. მაშ ეს ტალახი ბუნებრივია, არა?

მეაგურე. რა თქმა უნდა ბუნებრივია. აქვე საბურთალოზედა ვთხრით და ვზელთ ქალაქისავე წყლითა.

ხატისოვი. თქვენ ქარები იცით?

მეაგურე. ქარები როგორ არ ვიცი, ძლიერ უბერამს ხოლმე.

ხატისოვი. მე ფეხის ქარებზე მოგახსენებ. რევმატიზმას რგებს ეგ ტალახი.

მეაგურე. დიახ, ძლიერა რგებს.

ხატისოვი. (თავისიანებს) აი ბატონებო, ასეთი აბანო ჩვენ ქალაქის ყოველ კუთხეში შეგვიძლია მოვაწყოთ.

მკითხველთა საყურადღებოთ.

ამით ვაუწყებთ მკითხველებს, რომ შემდეგი ნომრიდან ჩვენი ჟურნალი გამოვა „ეშმაკის მათრახის“ სახელით. ჟურნალის სახელის შეცვლა გამოწვეულია გამომცემლობის მოსაზრებით და გავლენას არ იქონიებს სამსატვრო და სალიტერატურო მსარეზე, რომელიც იმავ ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ხელში რჩება.

„ეშმაკის მათრახი“ ეგზავნება აგრეთვე ჟურნალ „მათრახის“ ხელის მომწერთაც.

რედ.

სალიტერატურო დილა.

(პოპულიარული ლექცია, წაკითხული ავტორის მიერ 3 მაისის სალიტ. დილაზე).

ბატონებო!

ე. წ. „სალიტერატურო დილა“ სახადზე, ყვავილზე და სხვა მოარულ სენზე უფრო ძლიერ მოედო ჩვენს ქალაქს.

მისი მსხვერპლი დასახელებულ სენთა მსხვერპლზე გაცილებით დიდია, და თუ სახადიანთა და ყვავილიანთა შორის სიკვდილი ხშირია, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სალიტერატურო დილის“ მსხვერპლთაგან **ვერც ერთი** ვერ გადარჩება: ზოგი ადრე მოკვდება, ზოგი გვიან.

ავათმყოფობა ვახშირებული მთქნარებით იწყება სწორედ იმ წუთში, რა წუთშიაც სცენაზე ლექტორი, ან ბელეტრისტი გამოდის და ლექციის ან მოთხრობის კითხვას დაიწყებს. შემდეგ ავათმყოფი ერთი წუთით ჩასთვლემს, მაგრამ მყისვე გამოფხიზლდება და გული საშინელი დარდით აევსება, გაშტერდება და უაზროთ უცქერის ლექტორს, რომლის კითხვა „სულთათანასავით“ ეყურება; სენი ერთბაშათ ვითარდება და ავათმყოფს რაღაც ზიზღი და მკითხველ ლექტორის თუ ბელეტრისტის სიძულვილი იპყრობს. ეს გრძნობა შემდეგ ისე იზრდება, რომ ავათმყოფს აღარ შეუძლია სცენაზე ცქერა და პირს იბრუნებს; ბოლოს ხმაც საშინლათ მოქმედობს, ავათმყოფი დგება, სახე არეული აქვს, თვალები – ამღვრეული, შეშლილივით გარბის დარბაზიდან, გავარდება ქუჩაში და მხოლოდ მაშინ მოვა გონს, როცა რომელსამე კედელს ან სხვა რამ საგანს მიაწყდება. შემდეგ სენი ცოტათი ცხრება, ავათმყოფს ნაღვლიანობა და მწუხარება მხოლოდ მაშინ გაუხსენებს, როდესაც ბელეტრისტს ან პოეტს სადმე თვალს მოჰკრავს. ასე იტანჯება ავათმყოფი მთელ თავის ზოგჯერ მეტათ ხანგრძლივ სიცოცხლეში, ხოლო შემდეგ კვდება.

როგორც მრავალი სხვა ავათმყოფობა, „სალიტერატურო დილაც“ გაზაფხულზე განვითარების უაღრეს წვერვალს აღწევს და ჩვენც, რაოდენათაც ხალხის ჯან-საღობა და კეთილმდგომარეობა ძვირათ გვიღირს, მოვალე ვართ მთელის ჩვენის ძალღონითა და ჭკუა გონებით შევებრძოლოთ მას.

მხოლოდ ამ მოსაზრებამ და არა რაიმე პატივმოყვარეობამა და სახელის მოხვეჭის განზრახვამ აღძრა ჩვენში სურვილი დღევანდელ ლექციის წაკითხვისა.

ისტორიული მხარე ჩვენის ლექციის საგნისა შემდეგია:

დანამდვილებით თქმა იმისი, თუ რომელ საუკუნეში შემოვიდა საქართველოში „სალიტერატურო დილა“, ყოვლად შეუძლებელია, რადგან ეგ სახელწოდება არა სჩანს ძველ ქართულ ისტორიო არც ერთ ნაწარმოებში.

გარნა ეს გარემოება ჩვენ არც იმის საბუთს გვაძლევს, რომ „სალიტერატურო დილა“ ჩვენს ძველი არ სცნობოდეს.

პირიქით, ვახუშტის ისტორიაში და აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაშიაც“ ჩვენ ვიპოვეთ მრავალი ადგილი, რომელნიც (ამას ჩვენ გადაჭრითა და დარწმუნებით აღვიარებთ) შეიძლება შეეხებოდენ მხოლოდ და მხოლოდ „სალიტერატურო დილას“.

„ჟამსა მას შემოკრბა სიმრავლე ერისა ფრიადი ხილვად სანახაობათა მრავალთა, გარნა ვერღარა იხილეს და განრისხნეს და იწყეს დრტვინვა, ვითარმედ—სადა არს იგი, რაიცა აღგვითქვეს!“. ამბობს მოსე ჯანაშვილი „ქართლის ცხოვრებაში“, ე. ი. თანამედროვე ქართულად: „მაშინ შეიკრიბა დიდძალი ხალხი მრავალ სანახაობათა სახილველად მაგრამ, რომ ვეღარიფერი იხილეს, გაჯავრდენ და დაიწყეს დრტვინვა და ყვირილი: სად არის ის, რასაც დაგვპირდენ?“

ეს სტყვები ისე ზედგამოჭრილია „სალიტერატურო დილაზე“, რომ ეჭვის შეტანა ყოვლად შეუძლებელი გახლავთ.

ვახუშტის ისტორიაში სწერია:

„და მოეკლინა მათ ძილი, ხოლო ჟამი ძილისა არა იყო, არამედ — დილა“.

რომელი დილა იქნება ის დილა, ღამით გამოძიებულ ხალხს რომ ძილი მოეკიდოს, თუ არ „სალიტერატურო დილა“?

მსმენელთა ყურადღების დაღალვის რომ არ გვეშინოდეს, ასეთ ადგილებს კიდევ მრავალს მოვიყვანდით დასახელებულ წყაროებიდან.

ამის დაგვარად დამტკიცდა, რომ ძველ ქართველებს კარგათ სცნობიათ სალიტერატურო დილა და ეს არც გასაკვირველია, რადგან „სალიტ. დილა“ ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენის დროსაც ყოფილა, რადგან ისო ზირაქის წიგნში სწერია:

„აჰა ესე რა, გავიბერტყე მტვერნი ფერხთა ჩემთა და დაუტევე ადგილი იგი, სადაცა მოეწყინა სულსა ჩემსა და შეიპყრო გული ჩემი ურვამან და კაეშანმან“.

ყველასათვის აშკარაა, რომ ადგილი, სადაც მოეწყინა სულსა, ხოლო გული დარდმა და ნაღველმა შეიპყრო, უეჭველად სალიტერატურო დილა იქნებოდა.

მაგრამ დაუბრუნდეთ საქართველოს.

თანამედროვე ყაიდის „სალიტერატურო დილის“ წარმოშობას საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის საშუალო წლებს უფარდებენ.

აი, რას სწერს შოთა რუსთაველის თანამედროვე ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე ერთ-ერთ თავის თხზულებაში.

„1847 წელს მე და შოთამ პირველათ განვიძრახეთ თბილისში ქართულ „სალიტერატურო დილის“ გამართვა. მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული გვყავდა ყველა მაშინდელი ცნობილი პოეტი და არტისტი. „დილის“ წინა დღით ტელეფონის ზარის გაანჩხლებული რეკა მომესმა. მივედი აპარატთან: ვინა ხართ? შოთა რუსთაველი ვარ! აღელვებით მიპასუხა ხმამ - რა ამბავია კაცო? — წარმოიდგინე გრიშაშვილი უარს ამბობს! — მერე რა ვუყოთ რომა? უომისოდაც მოვახერხებთ. — Никогда! ხომ იცი როგორ უყვარს ხალხს. Я не хочу надувать публику... Надо отмѣнить утро“ ვერ იქმნა და ვერა! ვერ დავაჯერე, ისეთი ჯიუტი რამ იყო ის ცხონებული, რომ მეტი არ შეიძლება! იძულებული გაგვხადა დილა გადაგვედო...

ჩვენ თავისუფლათ დავეყრდნობოდით ბ. სარგის კაკაბაძის ამ სიტყვებს და საჯაროთ აღვიარებდით, რომ თანამედროვე „სალიტერატურო დილის“ იდეა ბ. კაკაბაძესა და რუსთაველს დაებადა გასულ საუკუნეში, მაგრამ ეს იქნებოდა ქართველ მეცნიერ ქალთა ერთი ჯგუფის აბუჩად აგდება, იმ ჯგუფის, რომელიც ამტკიცებს, შოთა რუსთაველი ცხოვრობდა მე-12-ში, და არა მე-19-ე საუკუნეშიო და დიაღ საფუძვლიანათ ასაბუთებს ამ მტკიცებას გაზ. „სახალხო ფურცელში“. საბუთი პირველი: კ. თავართქილაძის მიერ გამოცემულ „ვეფხის ტყაოსანში“ კრინტიც არ არის მის შესახებ, თითქო რუსთაველს მეცხრამეტე საუკუნეში ეცხოვროს. საბუთი მეორე: ბ-ნი კაკაბაძე სცდება: სარგის კაკაბაძე როდი იყო შოთას თანამედროვე, არამედ სარგის თმოგველიო. საბუთი მესამე: თუნდაც სარგის კაკაბაძე ყოფილიყო შოთას თანამედროვე, ეს იმას არ ნიშნავს რომ უთუოთ შოთას უნდა ეცხოვრა კაკაბაძის ხანაში (ე. ი. მე-19-ე საუკუნეში) და არა კაკაბაძეს შოთას ხანაში, ე. ი. მე-12-ე საუკუნეში. საბუთი მეოთხე: ვისაც ერთი ტყუილი გამოაჩნდება, იმას არაფერი დაეჯერება: ბ. ს. კაკაბაძე ამტკიცებს, თითქოს 1847 წ. შოთა რუსთაველს ტელეფონით ელაპარაკოს მასთან. სად იყო ტელეფონი იმ დროს? ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ ორთქლის მანქანა და მაშასადამე ტელეფონიც მე-18-ე საუკუნის მიწურულში გამოიგონა გუტენბერგმაო“.

ვიდრე ბ. სარგის კაკაბაძე არ გაიბაასილებს ზემორე ჩამოთვლილ საბუთებს, ჩვენ არ შეგვიძლია მისი ნათქვამი ვირწმუნოთ და „სალიტერატურო დილის“ აღორძინებას შოთას და სარგისის ხანას ვერ შევუფარდებთ...

თაგუნა.

მარცხი

(იგავი)

ერთ ფეხმარცხიან ჭინჭრაქას
მთის ფერდზე ფეხი აუცდა;
ბრჭყალი ჩამოჰკრა და მიწას
მცირე ნაკაწრი გაუჩნდა.

—

გაწვიმდა. მარცხად წვეთებიც
სწორედ იმ ადგილს ხვდებოდა
და ამით ნაკაწრს წიაღი
თან და თან ულრმავდებოდა.

—

ჯამის სიფართე რომ გახდა,
გაშრა, გაუხმა კიდენი
და გაჩნდა ფხვნილი მიწისა,
რომ ვერ დასთვალოთ, იმდენი.

—

კვალად გაწვიმდა. ღვართქეში
დიდი რამ მოჰყვა წვიმასა,
წასალეკ-წასარეცხავად
მოედო ნაკაწრს იმასა,

—

და გობის დონეთ აქცია,
სიგრძეზეც გასჭრა არხათა:
მზის ამოსვლის და ჩასვლის ხანს
მოსჩანს მთის ფერდზე თალხათა.

—

კვალად გაუშრა წიაღი...
კვალად აეფხვნა პირები...
კვლავ ნი ღვარი დაეშვა
მთის წვერით მონაღირები,

—

და არხი კიდევ გაღრმავდა,
გამოსქდა მიწა ზვავათა,
და მოსჩანს ღრანტე მთის ფერდზე
უფრო და უფრო შავათა...

—

და ასე თანდათანობით
გაღრმავდა, იქცა ხევათა,
თითქოს თითონ მთას ითრევსო
უფსკრულში ჩასაქცევათა.

—

და სადაც სუსტმა ჭინჭრაქამ
მთა ჩამოჰკაწრა ბრჭყალითა,
დღეს იქ უძირო ხევია,
განუზომავი თვალითა.

—

მთის მარმალილოს ცრემლები
ზვირთებათ ადუღებულან
და იმ უძირო ორწოხში
თავდაღმა დაკიდებულან.

—

და იმათ მოთქმა-ძახილში
ისმის ის მწარე არაკი,
რომ ზოგჯერ სულ მცირე რამეს
მოჰყვება ზღვა-ფათარაკი:

—

„ერთი კვერცხისა გულისთვის
სოფელი განიავდება!“
„ჭინჭრაქას გამონაფხაჭნზე
უფსკრული გამოშვავდება!“.

ონისიმე.



გურული სცენა

ომის გამოცხადება.

შეიქნა ასვარიე-დასვარიე, ეირია ქვეყანა, მევიდა დეპეშა დეპეშაზე, მუარტყეს და მუარტყეს ტელეგრამა ტელეგრამაზე, გამევიდა კუდიანი პრიკაზი-პრიკაზზე, გამოცხადდა მობილიზაცია, გამიკვირდა, მეოცა, მეტოშა ამ კვირკობისთვეში აგი ხემწიფეები რამ ააღელვა ასე, რა უქირდენ დალოცვილებს ბახმაროზე წასულიყვენ გაგრილდებოდენ... ყანაში ვიყავით. მეირბინა აქეშელებულმა იასაულმა, ბრძანებაა მობილიზაცია გამოცხადდა, ჩხუბი დეიწყო, კანცელარიაზე გიბარებენო. მივატიეთ თოხი ყანაში, გევიქეცით თავ-პირ მოღლეტილი. მევიყარეთ თავი... პაწე იგი, ოჯო რაცხა, ფაჩი-ფუჩი კითხვა-გაკითხვა ქე ვიკადრეთ, მარა, ციცო, გვიბრძანეს შინაურმა კამანდირებმა, ისე წადით ვაჟკაცურათ რავარც გურულებს ეკადრებაო. დივემშვიდობეთ ქალს ბაღანას, ნენას, ბაბას, ყანაპაღჩას, დავსძახეთ რაშოორერაი, მივედით სტანციაში, ჩავეედ-ით პოეზდში და ქე ჩავრიხინდით ბათუმში. დაკეტილია თელი ბათუმი. რომ კტებოდე და ერთი კაპლი ღვინო მოგარჩენდეს ვერ იშონი.

ჩვენ ულვინოთაც შეხურებული ვიყავით. ამოვკიდეთ ხასანბეგურაი, დავსძახეთ ვახტანგური და აგუნეს მომლოცავსავით ქე მივადექით კომენდატს ჭისკარზე.

ზდაროვა მალაციო! დაგვიძახა. „ზდრავია ჟელაიმ ვაშე ვისოკე ბლოგოროდიე“ – სამ მანეთიან მამალი ინდოურივით უზალპეთ ყველამ ერთად. მეცო და ხემწიფე იმპერატორსაც დიდი იმედი ქონდა გურულებისო და მალადეც გურიცკი ნაროდ რომ ქე დაამტკიცეთ ერთგულებაო. აბა თქვენ იცითო ნემეცმა თავი ეიგდო, მოგვიხთაო. —მომხთურს დამხთური უნდა, მიგვიშვით ვინაა იგი თავ-აგდებული უჩვენებთ სეირსო მოვახსენეთ. გარეულ მტრებთან ჩვენ გვკითხე რაფერი ბიჭობა გიჩვენოთ, ოღონდ შინაურთან არ ვარგვართ თვარაო. აგიც ვუთხარით—აგი ჩხუბი რომ გათავდეს, ვინც ცოცხალი გადარჩეს იმას მაინც ხთეს რაცხაი ჩვენი სისხლის მაგიერიო, ვისაც რა უნდა იგი დეილაპარაკოს და იგი წეიკითხოს მაინცო. აგი ყოლიფერი იქნება და არც ხემწიფის წყალობა მოგაკლდებათო... წავედით... ვჩხუბობთ აგერ ათი თვეია, დღე არ გაგვაჩნია და ღამე, ძილი არ ვიცით და ღვიძილი. ჯერე გული არ გაგვტეხია, მარა ისე აგი ჩხუბი იმას გავს, ბაღნობას ჩიტი რომ მომიკლავს იმიზა რომ შემილოცავს. დავასველებდი ჩიტს წყალში, ჩავაგდებდი ღადარში, ვაბრუნებდი ჯოხით ნაცარში და ვულოცავდი: „ასვარია, დასვარია, შენი დედა, შენი მამა, შენი ძმაი, შენი დაი, შენი ნაცნობი, შენი უცნობი, შენი ნახული, შენი უნახავი ყველაყაი აქანაი დასვარია მეთქი. სწორებ ისე გვემართება. წამიყვანეს მე, მომაწიეს ძმაი, მომაწიეს სიძე, მომაწიეს შვილი და მგონი დროზე შემერთო ცოლი შვილის-შვილსაც მომაწევდენ ზურგში... მარა რაც უნდა იყოს აგი ერთი ხომ იქნება კაი... აგი ჩხუბი რომ გათავდება სამამასახლისო კაცები ბეური იქნება, ჯვარიანები ყველაი მოხუცდა და გაწყდა, ახლა ჯვარიანიც ბევრი იქნება მამასახლისათ რომ ივარგებს და ყავარჯენიანიც—ხიდის ყურის საცავათ.

პიტნა.

შარადა

თუ კი არსებობს ამ ქვეყნად
რიგი, ან სამართალია,
თუ ადამიანთ გონებას
ძველებურ უჭრის თვალია,
ამ მცირე შარადისაგან
აღარ დარჩება კვალია.

—

ქვა მჭრელი, ქვა პირ-მაგარი,
ბრტყელი იყოს, თუ მრგვალია,
ფოლადით აჭყრის ნაპერწკლებს
რომ ააფეთქოს ფალია.
(ტყვია მტერს მოხვდეს, თუ მოძმის
ეგ რა იმისი ვალია,
მიზანის ამორჩევაში
მას არ მიუძღვის ბრალია).

—

მონახეთ ქვაი ამგვარი,
პირ-ბასრი, ენა ფხიანი,
მონახეთ მინდვრათ ყვავილი
ტურფა და ბარაქიანი,
ცას მოკამკამეს გვაგონებს
მტრედის ფერ ვარაყიანი.
დაჭარით იგი მახვილი,
ქვა ბასრი ენა მჭრელია,
გაჭკვეთეთ ნაზი ყვავილი
მშვენება სანატრელია,
და იმა თქვენსა მახვილსა
მყისვე გაუშვით ხელია.
დე დარჩეს იმავ ალაგას
ყვავილის ნაწილთ შორისა,
იგი იქნება კავშირი
შემაერთები ორისა,
მისგანვე განაბასრავი
ნაწილის თანასწორისა.

—

უკვე მზათ არის შარადა:
ქვა ყვავილთ შორის გდებული,
ევროპის სახელმწიფოა
ძველ დროში დიდათ ქებული,
ქვეყანას აზანზარებდა
იმათი მირონცხებული.
დღეს ძველი სხივი არ მოსავს
არ ადგას ძველი გვირგვინი,

დრომ ულმობელმა დასცარა,
წარსულს ჩაჰბარდენ იგინი...
(მათ ეხერხებათ მხოლოდღა
ტკბილი და ნაზი ღიღინი)
  დღეს რო მზად არის საომრად,
ხვალ აღარც ფიქრობს ბრძოლასა,
ცვალებადობით ჰეშმარიტ
ჰგავს მასრადინა მოლასა;
უმეგობრობა სჯობია
მეგობრათ მისსა ყოლასა.

კოლო.



იმერული სცენები.

დაგვესხა თავსხლაფი!

ვუი! ვუი! იუსტინე ჩემო, რა გეიგონა ჩემმა დასაფსებმა ყურებმა! ვუი! ვუი!

— შე ქალო, რა იყო, რა ამბავია?

— ნუ მათქმევიეფ, ნუ მათქმევიეფ, შვრცხვით თავსხლაფი დაგვესხა.

— არ იტყვი, ბოშო, რა ამბავია?

— ვუი! ვუი! არ კი შეგვარცხვინა იმ თვალებ დასაფსებმა!

— იმე, შე ქალო, მითხარი რა ამბავია.

— რა ამბავი და, ჩემო იუსტინე, ჩემი გულის მაჩიდაშვილის ძმის წულის შვილობილის სიკოიას მიწის ქვეშ ამოდება!

— რა დეემართა, შე ქალო?

— რაი და, ის შერცხვენილი, ის გაფუჭებული და ურჯულო, ამდგარა და ჩემი ბაბუის ბიცოლის შვილი შვილის მამიდაშვილზე არ გადაუწერია ჯვარი!

— რა თქვი, ბოშო, ეგ! რა გეიგონა ჩემმა ყურებმა, რას ხედავს ჩემი თვალები. ბოშო, და, იმ აშარმა გომბიომ რავა გაბედა გაყოლა? ეჰ, წახდა დროება, ჩემო კესარიე, აღარც ნათესაობა სწამთ და არც არასფელი! იჯავრე, იჯავრე ჩემო დაიკო. შეგარცხვინეს იმ უნამუსოებმა!

— ვუი! ვუი! ვუი! ჩემო იუსტინე!.

— ვუი! ვუი! ვუი! ჩემო კესარია!

შეგარცხვინა ღმერთმა!

— მე როგორც იცი, ჩემო სერაფიონ, ხელობით ლაქია ვარ. ახლა ვარ ისეთ უსაქმოთ, თვარა შარშან წელში რა თვე იქნებოდა მისთანა, რომე ორმოცი თუმანი არ გამეგზავნა ჩემს ქვაკიბეთისკენ.

— ოჰ!

— სწორე შარშან შემემთხვა ეს ამბავიც. რესტორანში ვმსახურობდი. კაბინეთში შამევიდა კაცი, თავის „დამით“, გამაწყობია ვახშამი. ისეთი ვახშამი კი იყო რომე, როცა წევიდენ მონარჩენებით ხუთი ბიჭი გავძეხით.

— უჰ!

— ჰო და!.. გაათავეს ვახშამი... მომატანიეს „შაფანცკი“. დალიეს... კარგი! ქალს თლა ენა ჩოუვარდა და გადალულა თვალები.

— იმე!

— მერე, კაცმა მითხრა: მოდი ახლოო... მივედი ახლო. დეიწი ძირსო. დავწიე თავი ძირს.. გამიქნია იმ ურჯულომ და ერთი იმისთანა მლეწა ცხვირ პირში რომე გამათავა კაცი.

— იმე! იმე!

— გავგორდი ძირს... გავახილე თვალები, შევხედე: დოუდვია ტლიკვი ოცდა-ხუთიანი სტოლზე და მიჩვენებს თითით: ეიღეო! დამიბნელდა თვალები, ამიფანცქალდა გული, ამიკანკალდა ხელები, ამიძაგძაგდა ფეხები, დევიმანჭე, დევიგრიხე, გავპარჭყე თითები, ვეცი, ვსტაცე ხელი და... გავგზანე ჯიბეში.

— რავა, ბოშო ცოცხალი კაცი რითი ჩაძვრა ჯიბეში!

— რის კაცი, რა კაცი!! ოცდა-ხუთმანათიანი ევიღე!...

— ფული?!! შეგარცხვინა ღმერთმა! რავა ფულიზა კაცს თავს შევარცხვენიებ?!

გუგული.



სპორტი.

სპორტი ჩემთვის იგივეა, რაც ცხოველისათვის ჰაერი, თევზისათვის წყალი, მგოსნისათვის გაზაფხული, ჩინოვნიკისათვის ქრთამი, და რუსისათვის არაყი.

მაგრამ ყოველგვარ სპორტთა შორის, ჩემს ტრფიალს მათრახის ვარჯიში შეადგენს.

გეფიცებით ჯოჯოხეთის წმინდანებს, თვით პობედონოსცევიდან მოწყებულს, რომ არ ვიცი რამ გამოიწვია ჩემი ამ სპორტისადმი ასეთი სიყვარული. ვფიქრობ მხოლოდ, რომ ამისი მიზეზი მხოლოდ ჩვენი ცხოვრების პირობები უნდა იყოს: მათრახი სკოლაში, მათრახი სოფელში, მათრახი ქალაქში, მათრახი ქარხანაში და სატუსაღოში, მათრახი საზოგადო და კერძო დაწესებულებებში, ერთი სიტყვით მათრახი ყველგან და ყოველთვის.

აი რისთვის მიყვარს მათრახი, რისთვის ვემსახურები მას, რისთვის ვაქებ და ვადიდებ მის ძლიერებას!

—

ამიტომ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი აღტაცება, როცა მომივიდა მიპატიჟების წერილი (უმარკო რასაკვირველია) „მათრახის მოყვარულთა„ მიერ გამართულ შეჯიბრებაზე დასასწრებლათ. მესიამოვნა, უზომოთ მესიამოვნა, რომ ინიციატორებმა ჩვენი რედაქცია არ დაივიწყეს და საშვალება მოგვცეს ქვეყანაში თავი გამოგვეჩინა.

სოფელი ღრიალეთი (ქ. გორის მახობლათ) მუდამ განთქმული იყო მათრახის სპორტით, ვინაიდან ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ საქმის კარგ მცოდნეთ ითვლებოდა. ამ სოფელში იყო დანიშნული ეს საარაკო და საისტორიო შეჯიბრება მათრახის მოხელეთა და მეც ჩვენი რედაქციის მანდატით მყის გავემართე იქითკენ.

—

უზარ მაზარი მოედანი უკვე სავსე იყო პროვინციებიდან ჩამოსული სპორტსმენებით, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა გურიის მაზრის უფროსად ნამყოფი ი. ნ—ძე; სამეგრელოში ცნობილი ურიადნიკი ვ. ც—ძე და ქართლელი მთავრობის მამასახლისი ტუხა მხარ მაგარი.

სპორტი გახსნა და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ჭიათურის ბოქაულად ნამყოფმა ფ. კურდღელაძემ. იგი დასაბამიდან შეეხო „მათრახის“ წარმოშობის ისტორიას და განმარტა მისი კულტურული მნიშვნელობა ქართველი გლეხ-კაცობის ცხოვრებაში.

მე „ახალი მათრახის“ რედაქციის სახელით წარმოვსთქვი დაახლოვებით*) შემდეგი:

„ბატონებო! მე სავსებით ვეთანხმები ბ-ნ კურდღელაძის აზრს მათრახის კულტურულ მნიშვნელობის შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ საგულისხმიერო გარემოებას. (მე აქ შევჩერდი და წყალი დავლიე) ბატონებო! ჩემის აზრით კულტურული ნაყოფი მათრახისა ცალმხრივია. მას არა აქვს ფართე ეროვნული მნიშვნელობა. მისი ღვთაებრივი გავლენით სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ გლეხ-კაცობა და მუშა ხალხი, თითქო დანარჩენი ქართველობა მამულის გერი იყოს. (აქ კიდევ შევისვენე და წყალი მოვნთქი) მე საქვეყნოთ მოვიოთხოვ ბოლო მოეღოს ამ უთანასწორობას და თავად-აზნაურობა სამღვდელოებითურთ გაუთანასწორდეს გლეხებს უფლებაში. დეე მათაც იგემონ ის კულტურული კეთილყოფა, რომლითაც ეგზომ უსამართლოდ სარგებლობენ მხოლოდ გლეხ-კაცნი და შავი მუშაკნი“.

ბოლოს და ბოლოს ხმას ვუმატე და უკანასკნელი სიტყვების გრგვინვა 52 სანტიმეტრიან ზარბაზნის კრიალს მოგაგონებდათ. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

—

დაიწყო შეჯიბრება! ენა ვერ იტყვის და კალამს საიდან შეუძლია ასწეროს ის განსაცვიფრებელი „პრიომები“, რომლებსაც ასე ოსტატურათ ასრულებდენ მოთამაშენი.

სანიმუშოდ გამოყვანილი იყო ექვსი უღელი კამეჩი და 18 ვირი. ვერ გამიგია, თუ რისთვის ამოიღეს ნიშანში ცხოველები და არა ჩვეულებრივი ობიექტი მათრახისა,—სოფლის ხალხი. ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ნაკლათ შეიძლება ჩაეთვალოს სხვაფრივ ხელოვნურათ მოწყობილ დღესასწაულს.

თითოეული ახალი მოვარჯიშის გამოსვლა, ეს ახალი სიტყვა იყო მათრახის ხმარების ისტორიაში. ხანგრძლივ პრაქტიკასა და საქმის სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია შესძინოს ადამიანს, მაგრამ ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, თუ მათრახის ხელოვნება განვითარების ამ წერტილის ხაზამდე მივიდოდა.

—

მე მეათედ მომიწია გამოსვლა და რომ ტრაბახი არ გამოვიდეს ჩემს შესახებ ლაპარაკს, სხვებს

*) ვრცლათ ამ საგანზე შემდეგ.

ვუთმობ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩემი მათრახის უკანასკნელი მოქნევის შემდეგ საათნახევარს ტაში არ შეწყვეტილა.

—

საღამოს 5 საათზე გამოცხადდა სია იმ პირთა, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება და ჯილდო დაიმსახურეს.

მართალია მე ვერ გავამართლე რედაქციის იმედები, მაგრამ პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ ჩემპიონებში მესამე ადგილი მიჭირავს.

ქვემორე ამისა მოყვანილ სურათზე გამოხატულია

ჩემპიონი სრულიად საქართველოსი ყოფილი ბოქაული თ-დი **ბაგრატ ბურჯაძე.**

ქართლის ჩემპიონი, ყოფილი მთავრობის მამასახლისი **ფრიდონ შავხელი.**

და დასასრულ თფილისის ჩემპიონი თქვენი უმორჩილესი მონა

ეშმაკი.

ქართლის ჩემპიონი ყოფილი მთავრობის მამასახლისი.

საქართველოს ჩემპიონი ყოფილი ბოქაული

თფილისის ჩემპიონი ბ-ნი ეშმაკი

3 მაისის სალიტერატურო დილა



გიორგი ამირეჯიბი. სწორეთ გხატავს ეგ კურტანი, მშვენიერებავ?

ძროხა—ისეთმა ფურმა დამწიხლოს ჩემზე მეტს იწველიდეს.

იუზა ზარდალიშვილი ჰამლეტის როლში.

გელურა და ღამურა

(ფუძდვნი ბნელეთის მოტიქულებს).

ბელურამ უთხრა ღამურას:
—ერთი უნდა გკითხო რამე,
რატომ არის დღით ვერ გხედავ
გამოდიხარ მხოლოდ ღამე.

თუ გცხვენია უშნო რომ ხარ,
არც ჩიტს გავხარ, აღარც თაგვსა
და ამიტომ ბნელ კუნჭულში
შეაფარებ სადმე თავსა?

მელამიამ უპასუხა
მედიდური სიცილითა:
—არამზადავ, შენ ის გინდა
მეც ვკვდებოდე შიმშილითა?

სულელი ვარ თქვენსავით დღით
ვიჭიკჭიკო ვიფრინოო,
დღით ბუზები სად ვიპოვნო,
თავი რით-ღა ვირჩენოო!?,

რაღაც კიდევ უნდა ეთქვა
რომ მოესწრო ნათელ-სხივი,
და იმ წამსვე მიიმალა
სიბნელეში გამოზრდილი.

—

განა ჩვენში ცოტას მოსწონს
ღამურების მოსაზრება?
ბნელში შობილთ, ბნელში ეყვართ
სიცოცხლე და ნეტარება.

ბური.

ბოშო მარინე!

ვიცი, ძაან ჯავრიანათ იქნები ახლა შენ და სულ ბაღანეის და ჩემი ფიქრი გექნება, მარა ნუ ინაღვლეფ, ჩემო მარო, ბოვში კარქათ არი: სიცხე დოუკლო და ჭამის მადაც ქე აქ ახლა. გუშინ წინაზე მყავდა გუმათელთან. ძაან ძვირიანი წამლები ქე გამოუწერა ი მამაცხონებულმა: შვიდი მანათი და ორი აბაზი გადამაშვლეპიეს. შენ იმასაც ქე მეუბნებოდი, გუმათელი არაფერს გადაგახდევიებს ღარიბათ რო შეგხედავსო, მარა შენც არ მომიკვდე! ის კი არა და ათი შაურის მაგიერათ, ახლათ მანათს ახთევიებს და მერე რანეირათ ახთევიებს! სხვა დოხტური ჯერ გაგშინჯავს, მერე ფულს გამოგართუმს, გუმათელი ჯერ ფულს ართმევს და მერე შინჯავს. ზე კარებში დოუჯენია ვინცხა ქალი და, რამდი არ გადეიხთი მანათს, ფეხს არ შეგადგმევიებს ოთახში. ბოვშის გაშინჯებისას ბაღანეის ჩაბალახი დამრჩენოდა დოხტურის ოთახში და, რო მივედი გამოსატანათ, სიკვტილი იღირსია ქალმა და არ შემიშვა: მოორე მანათი უნდა მომცეო. ისთევე ჩაბალახის დატუება ვამჯობინე და ავამტყოფი ბაღანეი თავშიშველი წამევიყვანე. ეს კიდო რაა. ერთი რუსულად გამოწყობილი კაცი მოსულიყო და დოხტურის დაპაიჯება მინდა სადილათო ეუნებოდა ი ქალს, მარა, რამდი მანათი არ გადაეხადა, ფეხიც არ გადაადგმევიეს ოთახისაკენ. არა, ჩემო მაკრინე, გუმათელი ის გუმათელი აღარ არი წინათ რო იყო. ბოვში რო ვაჩვენე, ხვალ კიდომ მეიყვანეო მითხრა, მარა ველარ მივიყვანე ფული არ მქონდა. რაცხა ერთი თუმანი წამევიღე, დემეხარჯა. სულ ვასილას დავაწევი ყოლიფრათ და მარტვა სირცხვილის მრცხვენია. რაცხა სამ თუმანს იღებს ი კაცი და თვითანაც არ ყოფნის. მოახერხე რამე, მარინე ჩემო, და გამომიღზანე კიდომ ერთი თუმანი. დოუგირავე ძროხა ილარიონ მედუქნეს, ან თელათ მიყიდე და გამოგვიღზანე. აპა რას იზამ, როცა სხვა სახსარი არაფერი არ არის. ერჯენ კიდომ მივიყვან ბოვშს ი გუმათელთან თუ რაცხაა და, მერე თუ მივეკარო, თუ უნდა ტყავიც გამაძროს. ხვთის წინაშე, არც ახლა მინდოდა მისვლა, მარა ჩაბალახის ჯავრი მაქ; სამი მანათი მქონდა მიცემული შით და რავა დავკარქო ასე უბრალოთ.

შენი ქმარი **სარდიონ საწყალაძე.**

ფოთიდან

(განმარტება)

ცოდვილი ეშმაკს ემალვის,
ვითა კეთილდღელი მწევარსა,
(თუმც ვერ წაუვა ხელიდან
ვერც-ერთი თავის მდევარსა)
ჩვენს ცოდვილებსაც ამიტომ
აბრაზებს პირში მხილება,
საომრათ ემზადებიან,
ისმის ლანძღვა და გინება.
ამბობენ, უნდა შევიპყროთ
ეშმაკის მოციქულია,
იმ გამცემელსა „ბუტუნას“
სასჯელი დავსდვათ სრულია.
ნეიტრალიტეტს ნუ ვიცავთ,
გამოვაცხადოთ ომია,
მახვილით წაწყდეს თვითონ ე
ჩვენი წაწყმენდის მდომია.
მთავარ სარდლობა „ფონ-მიხას“[1])
ეკუთვნის მედალ-ჯვარითო,
მტერს ემუქრება მრისხანეთ
თავის მეტივე ჯარითო.
ზღვაში გამოსვლა ებრძანა
ნალმოსნებს ჭალადიდისო,
ეგნატეს ტბიდანც[2]) ესკადრა
ფიცხლავ მალთაყვით მიდისო,
დრედნოუტს კაპარჭინისას

[1]) ფონ-მიხა—გასავალ ფონის მცოდნე.
[2]) ეგნატეს ტბა—პალიასტომის ტბა.

აღარ სჭირია მზადება,
პირველ ბრძანების თანავე
სარდალთან დაიბადება.
ხმელეთის ჯარი თედორეს
ებრძანა, ჩაიბარეთო,
ალყაში ჩასვი ქალაქი
ვერვინ გავიდეს გარეთო.
„ჭაპვეთის[3]) გრაფმა“ ბათლომემ
თილისმით[4]) იწყოს ფრენაო,
მტერი დაზვეროს (ცხრაას ხუთს
ვისაც უსწრებდა ენაო).
ჯიქიძე—უმავთულოის
უფროსად ტელეგრაფისო,
ჰაერში, ზღვაში, ხმელეთზე
ცნობის მიმცემი სწრაფისო.
შტაბს ჩაიბარებს ცნობილი
რეგისტრატორი კოსტაო,
მის თანაშემწეთ კირილეს
უნდა ეთხოვოს მოცდაო.
ულტიმატუმი ჩაბარდა
ათვალწუნებულ „ნოვესო“
თუ თვით არ არის „ბუდუნა“-ს
გაცემა მოითხოვესო.
ნოვე ფიცულობს სამშობლოს,
ქართველ ერს და თვით გურიას,
(რაც მიქელაძის ცოდვებში
უყვეს კულაშელ ურიას)
ისეთი უმართებულო
სასჯელი მოელოდება,
არც მოწმე გადის, არც ფიცი,
არცა მუდარა, გოდება.
რისთვისაც ისევ „ბუტუნა“
იძლევა გვნმარტებასა,
მის ადგილს სხვაი დასაჯონ
არავის მისცემს ნებასა,
დამწერს რას ეძებთ, **დაწერილს**
თუ კი **არა სცნობთ სწორათა**,
გაბათილეთ ახსენით
ცილის წაქება—ჭორათა,
მაშინ ეშმაკმა მათრახით
შვაზე გამაპოს ორათა,
დაე გადვიქცე ხალხის წინ
ყვავ-ყორნის საკვებ მძორათა,
მარა თუ გითხრათ სიმართლე
ჭეშმარიტების მონამან,
თუ თქვენს არმიას დასწონოს
„ბუტუნას“ თავის წონამან“?!

[3]) ჭაპვეთი—მზაკვართა დედოფლის „როკაპი“ს სასახლე.
[4]) თილისმა—ნივთიერება, სითხე, რომლის წაცხებით შეიძლება ფრენა და რომელიც ჭაპვეთში იშოვნება.

ნინძლავი დავდვათ საჭირო.
არ ნაფიქრები შურითა,
მტყუანმა ჩვენი ქალაქი
ერთ დღეს არჩინოს პურითა[5])
თავდებათ ჩემგან მიიღეთ
ბირჟა-ბანკების თავები:
ანდრი, თადეოზ, ვასილი,
(ეს თქვენგან განაშავები),
თქვენის მხრით სალაყაიას
ჯაიან, ესებუასა
მივიღებ, მარა ნუ ფიქრობთ,
თქვენ მასწავლიდეთ ქკუასა!
თქვენ დაგამარცხებს თქვენივე
„მოღვაწეობის“ წყვდიადი,
მე კი წინ ძიძღვის მომავლის
ბრწყინვალე სხივი დიადი.

ბუტუნა.

[5]) მშიერთა ტირილს ამის მზგავს
ვეღარ მოისმენთ ყურითა.

„ახალ მათრახის“ რედაქცია აცხადებს, რომ მას ბ-ნ ნოე ა. ჟღენტთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და „ბუტუნა“-ს ფსევდონიმი **ჟღენტს არ ეკუთვნის.**

მისეინგა

ბაქოდან.

რა ვქნა ვიტირო—რაღადა?
ვეღარ ვეღირსე შვებასა.
ვიცინო,—რაზე ვიცინო,
მკითხველო შენსა ლხენასა!?
ჩემი ვარსკვლავი მზეს ჩაყვა,
ამოეფარა ქვენასა.
ამოვა.. მარა ლოდინში,
დამიკორტნიან რწმენასა:
ქვეყანა შემომსევია,
ასაქსაქებენ ენასა.
ზოგი გუნდრუკით მევლება,
სხვები მიძღვნიან ქებასა!?
შიმშილი კარზე მომადგა,
ძმები მოითხოვს შველასა.
ვაჭრები გაგვიდიდკაცდა,
ქონი აწუხებს ყველასა..,

მამინაცვლები გამიჩნდენ,
და მიწამლავენ სმენასა!
— „ფულები გაგვიიაფდა,
ნუ ლამობთ სხვა გზის კვლევასა?!.
ამას ვინ ჩივა... „მაღლებიც“,
გაიძახიან იმასა:
„ფულები რომ მივუმატოთ,
რუსის ბუნების მუშასა,
არ იმუშავებს მერწმუნეთ,
და გაუდგება ქუჩასა.
თავში მოგვაყრის ქვა-ნახშირს,
ზედ მოაყოლებს ქვიშასა“.
ბაქოელებმა ვითომდა
აჯობა ქვეყნის „ბურჯებსა“...
„ექვსი პროცენტი“ მიუგდეს,
ჯერ „უცოლშვილო“ მუშებსა.
და ცოლიანებს „ათიო“, —
ეყოფა დამშეულებსო!?
მანეთ ნახევარს, ორ მანეთს,
თვეში ვინ დაიწუნებსო?!

ალ. ზაგლობა.

—

დიდი ჯიხაიშიდან.

ეო, მეო, შენი ჭირიმეო,
თედორესთან შეიკრიბოს
ინტელიგენტთ წრეო.
ქალთა წრეში თავმჯდომარეთ
გვყავდეს თედორეო,
ჯერე „ფრაპი“ გავახუროთ,
მერე „ბაქარეო“,
ჯერე შენსას, მერე ჩემსას,
შენ გენაცვალეო.
ზეგ, სიმონი დაგვპატიჟებს
ვინძლო გამოძღეო,
ხვალ სერგიას მივულოცოთ
დაბადების — დღეო,
ქვეყნისათვის შრომობს იღწვის
მას ვენაცვალეო,
ტოლუმბაშათ ვიყოლიოთ,
ყოველ მუდამ დღეო.
სვიმონიკა, ნუ ეშმაკობ,
კარტი დათვალეო,
ორ ქაღალდში, სამი ტუზი
რათ გამოლალეო.
სიმიდის კაკალს აკლია
ჩამოდი პავლეო,
ამაღამვე გადავსწყვიტოთ,
სად ვიყოთ ხვალეო.
ეს სტოროჯი გავაფრთხილოთ,
არ დაწვეს მალეო,
ნადია არ გაგვირისხდეს
შენ გენაცვალეო.
ასე ვატარებთ დროებას
მუშაკნი გამძლეო,
ეშმაკო ტარტაროზისავ,
ყოვლად მძლეთა მძლეო,
მამასახლისის დუქანში,
ერთი შემომყეო,
იქ ვნახავთ მცველებს სოფლისას,
სვამენ ყოველ დღეო,
მთვრალები დაბანცალობენ,
აქ ბაზრობაზეო!
ცუდს არ იზამ თუ გამოსცდი
მათრახს იმათზეო.

კიკოლა ბიჭი.

—

ვაკიჯვარიდან.

„ახალ მათრახს“ გამარჯობას
ვუსურვებ და მასთან ერთი
სათხოვარი მაქვს მკირედი...
(მომისმინეთ, თუ გწამთ ღმერთი:)
რა სენს ვეცე, აღარ ვიცი,
უწინ რომელს დავეჯახო...
ყველა საჭირ-ბოროტია,
სატირალი, სავაგლახო.
ლოთობა და უსაქმობა,
ბანქობია, დუშაშ-ნარდი,
ჩვენს ვაკიჯვარს არავინ ყავს
ყველა ამაებში ფარდი.
„როლში არის,“ სჯობს ასე ვთქვა,
„მოწინავე ელემენტი“.
(ხალხს გონია და მე რა მაქ
აქ სათქმელი ამის მეტი).
ისინია სამწუხაროთ
ხალხის თვალი, მესვეური...
მაგათ ყოყლოჩს რომ უყუროთ,
თითით უნდა იცოთ ყური.
„ახალ მათრახს“ სალამი და
გამარჯვება მის მარჯვენას.
შენ იცი თუ გვესტუმრები...
თითონ ნახავ ჩვენს წახდენას.
ჯერ თითონ შენ დარწმუნდები —
მართალია მოხსენება.

შემდეგ ყველას ჩამოგითვლი,
დე, ასრულდეს კალმის ნება.

ტლუ.

—

ლიხაურიდან. (გურია)

რა რომ ვიხილეთ მათრახი შენი.
გულს მოემატა შვება და ლხენა,
და თუ გწადია გაწმენდა ჩვენი,
კარგი იქნება, არ გაწყენს შენა.

ცოტა სოფელშიც რომ გადმოფრინდე,
დროზე გვიშველო კარგს იზამ ერთსა,
თორემ შემდეგში გვიან იქნება,
ლოცვა დაიწყეს, შესთხოვენ ღმერთსა:

„გვიხსენი ღმერთო ეშმაკისაგან,
ომს ეპირება დაუნდობელსო,
თუ გამოაწყო ეშმაკთა ჯარი,
რა ეშველება მხარეს მშობელსო“-

ქურდობა ჩვენში ძლიერ ცოტაა,
თუ მოხდა, ახსნაც გაგვიადვილდა:
ღმერთმა უშველოს აჭის დიაკონს,
ჩამოგვისვენა დავითნი წმინდა.

ქურდს ამოიცნობს არ უნდა თქმაი:
—ვისკენც იბრუნა წმინდანმა თავი,
ის არის ნამდვილ ბოროტის მქნელი“
ამბობს დიმიტრი მასწავლებელი.

სხვებზეც რომ სცადო მათრახი შენი,
და არ მოაკლო ნაცადი ხელი,
გარწმუნებ არვინ არ დაგძრახავსა,
პასუხის გებას მე ვიდებ თავსა.

ორ ძმას შეხვდები კეზიანებსა,
თუ მიაყენებ მათ ზიანებსა
სხვისი ავისთვის მოწყურებული,
მუდამ ამაზე, შესტკივათ გული.

სამსახურშია ორივე ერთათ,
დავითს ლოცავენ პატრონათ ღმერთათ,
კაცი არ არის ისეთი ჩვენში,
ვისაც შეხვდებათ, არ სჩხვიტონ გვერდში.

წაღმა უკუღმა მაკბენარია,
ამხანაგები მთლათ გადარია.
არავის ინდობს, პატარას დიდსა,
მათთვის ერთია ვინც იყოს ისა.

ნანა.

წერილი რედაქციის მიმართ

„ახალი მათრახი“-ს № 4-ში, არის წერილი ფოთიდან ლექსად, „ბუტუნასი“ და იწყება ამ რიგად: „სალამი დიდო ეშმაკო, სარდალო ჯოჯოხეთისა“ და სხვა. ჩემი პირადი მტრები ავრცელებენ ხმებს ადგილობრივ, ვითომც ეს ლექსი მე მეკუთნოდეს. **მოსალოდნელია ამ ყალბ ხმების გავრცელებას ჩემთვის არა სასიამოვნო ამბავი მოჰყვეს.** ამიტომ უმორჩილესათ გთხოვ ბ. რედაქტორო გაგამოაცხადოთ ერთ-ერთ მახლობელ ნომერში, რომ ეს ლექსი მე არ მეკუთნის. ამასთან მოვახსენებ ზოგიერთ ჩემზე ასეთ ხმების გამვრცელებლებს, რომ თუ ასეთი ჟურნალი გამოიცა თფილისში, სრულიად არ ვიცოდი. შეიძლება ზოგიერთები იმიტომ მწამებენ ასეთ ცილს, რომ რედაქტორ-გამომცემელი— ნ. დ. ჟღენტისა ბრძანდება. ამაზედაც მოვახსენებ, რომ ამ ნ. დ. ჟღენტისას სრულიად არ ვიცნობ და არც არავითარი მიწერ-მოწერა მქონია ჩემს ცხოვრებაში.

პატივისცემით **ნოე ალმასხან. ჟღენტი.**

—

ჩვენ ვწუხვართ, რომ ამ წერილის დაბეჭდა დაგვიგვიანდა და შეიძლება ფოთელებმა კიდევაც ჩამოახრჩვეს უდანაშაულო კაცი.

ახ. მათრახის რედაქცია.

ჯერ ახალს. თქვენი ლექსი „ამონაკვნესი“ ასე იწყება:

მოახლოვდა გაზაფხული
გაგვეპარა თლათ ზამთარი
დარი დგება სასიამო
მხოლოდ დაჰქრის ზენა ქარი
ზენა ქარი სუსხიანი, ზენა ქარი სუსხიანი“.

ჩვენ სიამოვნებით დაგიბეჭდავდით ამ ლექსს, მაგრამ მკითხველები იფიქრებენ გრიგოლ რობაქიძის კალმის ნაწარმოებიაო და არ გვინდა მას ახალი დაფნის გვირგვინები მოვუხვეჭოთ.

—

ნ ო ღ ე ლ ა პ ი რ ე ლ ს. თქვენ იწერებით ვიღაცა უცნობის შესახებ:

„გამარჯობას რომ ეტყვი,
თავს განზე მოიკეცებს
ამ უკადრისს ტუტუცობას
სიარული უმტკიცებს“.

„დასაკეცი თავი“ პირველი გაგონებაა ჩვენთვის. თქვენი წერილი არ იბეჭდება იმიტომ, რომ საგანს ჩვენ სხვა და სხვა წერტილიდან ვსინჯავთ მაგალითად—თქვენ სიტუტუცეს სიარულზე ატყობთ, ჩვენ კი ლექსების წერაზე,

—

გ ი გ ო შ ვ ი ლ ს. ლექსი ზამთარი:

„გარეთ თოვს სახლში ჩხუბია
ქალების ერთ-მეორეზე...
ეს რომ შევნიშნე წავართვი
ჯოხი კი რა რომ ავდექი...
და ორივენი დავფალი
თოვლში და ზედ დავაწექი“

ჩვენც დავფალით სარედაქციო გოდორში თქვენი ლექსი და ზედ დავაჯექით.

ეოვედდიური სპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ 199 Евгенію Илларіоновичу Урушадзе.

კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ეოვედდიური სალიტ. და სპოლიტ. გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 5 კ. 3 თვ. 2 მ 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Газ „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„თ ე მ ი“

გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ფასი: წლით 2 მ. 50 კ ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Ольгинская ул. № 4

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი
ვარლამ ახვლედიანისა.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 21, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ბარონის ქუჩა, № 15.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ახალი მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

თანამშრომლები—ალბურიონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, კვინწარი, კოლო, მორიელი, ნაბუქოდონოსორი, ონისიმე, პიტნა, ფონ-ტეფო, ქიქოძე. შ., შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ახალ მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✧ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები. ✧

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Баронская 15,
Почтов. ящ. № 12.

(ახალი მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს ნოვაგონებთ, რომ
✧ უმარკოწერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✧

ს 9842
1915

„სარწმუნო წყაროები“



დიპლომატი: იტალია გამოვა, არ გამოვა, გამოვა, არ გამოვა, გამოვა, არ გამოვა ...

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. სტამბა ამხ. „პროგრესი“. რედ.-გამ. ნ. დ. ჟღენტისა.